ანალიზი

მახლობელ არეთა კვაზიკონფორმული ასახვების სასაზღვრო შეფასებების შესახებ

ლელა ზივზივაძე-ჯაფარიძე,
lela.japaridze@atsu.edu.ge
ერეკლე ჯაფარიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

აღნიშნული სტატია წარმოადგენს ავტორთა ნაშრომის ზივზივაძე, ჯაფარიძე 2022 გაგრძელებას. მასში სასაზღვრო ინტეგრალური განტოლებების მეთოდების გამოყენებით განიხილება მახლობელ არეთა კვაზიკონფორმული ასახვები ერთეულოვან წრეზე და დადგენილია შეფასებები რომლებიც საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ სხვადასხვა სიდიდეების სიახლოვის შესახებ ε *–ის საშუალებით, სადაც* $\varepsilon > 0$ *- ნამდვილი პარამეტრია რომელიც ახასიათებს არეთა სიახლოვეს. კერძოდ,* ε *–ის საშუალებით შეფასებულია მახლობელი არეების შესაბამისი სინგულარული ინტეგრალების სხვაობის რიგი და ასევე გადამსახავი ფუნქციების სასაზღვრო მნიშვნელობათა და მათი წარმოებულების სხვაობები.*

საკვანძო სიტყვები: *ბელტრამის განტოლებათა სისტემა, მახლობელი არეები, კომპლექსური სიბრტყის ჰომეომორფიზმი, კვაზიკონფორმული ასახვა.*

შესავალი. მახლობელ არეთა კონფორმულ და კვაზიკონფორმულ ასახვებთან დაკავშირებული ამოცანები საკმაოდ აქტუალურია და გააჩნიათ მრავალრიცხოვანი გამოყენებები. პრაქტიკული ხასიათის მრავალი ამოცანის ამოხნის დროს ხშირად ვხვდებით ფუნქციებს რომლებიც განახორციელებენ არეთა კონფორმულ და კვაზიკონფორმულ ასახვებს ისე, რომ აღნიშნულ არეში ეს ფუნქციები აკმაყოფილებენ რომელიმე ელიფსურ განტოლებათა სისტემებს.ამიტომ მიზანშეწონილია ვიცოდეთ ასეთი ფუნქციების მიახლოებით და ეფექტურად აგების მეთოდები რომლებიც გადმოცემულია შრომებში (Вертгеим 1960, Фоминих 1974).

ბევრ ამოცანაში მნიშვნელოვანია ვიცოდეთ თუ როგორ აისახება მოცემული არის საზღვრის მცირედი დეფორმაცია გადამსახავი ფუნქციის ფორმაზე როგორ იცვლება ამ დროს მისი კონსტრუქცია როგორც არეში ასევე არის საზღვარზე.

მნიშვნელოვანი შედეგები ამ მიმართულებით მიღებულია შრომებში (Лаврентьев 1947, Samsonia, Samkharadze 1999).

აღვნიშნოთ, რომ ასეთი ტიპის ამოცანები იმ შემთხვევისათვის როცა როგორც გამოსავალი ასევე მახლობელი არეები წარმოადგენენ ვარსკვლვისებურ არეებს $z=0$ წერტილის მიმართ განხილულია ავტორთა შრომებში (Zivzivadze, Japaridze 2005) და (Zivzivadze, Japaridze 2006).

ძირითადი ცნებები და აღნიშვნები. კომპლექურ $\mathbb{C}$, $z=x+iy$ სიბრტყეში განვიხილოთ ცალადბმული $G,\ \ 0\in G$ არე შემოსაზღვრული ჩაკეტილი გლუვი Γ კონტურით რომლის პარამეტრული განტოლებებია:

$$t=t(\tau)=x(\tau)+iy(\tau),\qquad 0\le\tau\le 2\pi,\qquad t(0)=t(2\pi)$$

(2.1)

τ პარამეტრის ზრდას შეესაბამება $t=t(\tau)$ წერტილის მოძრაობა რომლის დროსაც Γ წირით შემოსაზღვრული არე რჩება ხელმარცხნივ. მასთან $x(\tau)$ და $y(\tau)$, 2π –პერიოდული ფუნქციებია.

ვიტყვით, რომ Γ წირი რომელიც მოცემულია (2.1) განტოლებით, ეკუთვნის $C_{\alpha}^{'}$ კლასს, თუ $f(z)$ ფუნქცია $\overline{G}$ არეში აკმაყოფილებს ჰელდერის პირობას $\alpha,\ \ 0<\alpha\le 1$ მაჩვენებლით, და ჩავწერთ, რომ $f\in C_{\alpha}(\overline{G})$.

შემდგომში ჩვენ განვიხილავთ არეთა კონკრეტულ ოჯახებს რომლებიც გარკვეული აზრით მახლობელი არიან მოცემულ არეებთან.

განსაზღვრა: (Samsonia, Samkharadze 1999) დავუშვათ, ცალადბმული $G,\ \ 0\in G$ არე შემოსაზღვრულია $\Gamma\in C_{\alpha}^{'},\ \ 0<\alpha\le 1$ წირით და $\mathbb{C}$ სიბრტყეზე განვიხილოთ სხვა ცალადბმული $\tilde{G}$ არე, $\tilde{\Gamma}$ საზღვრით რომლის განტოლებაა

$$\tilde{t}=\tilde{t}(\tau)=\tilde{x}(\tau)+i\,\tilde{y}(\tau),\qquad 0\le\tau\le 2\pi,\qquad \tilde{t}(0)=\tilde{t}(2\pi)$$

და $\tilde{\Gamma}\in C_{\alpha}^{'}$. $\tilde{G}$ არეს ეწოდება G არის ε –მახლობელი $(0<\varepsilon<1)$ არე, თუ შესრულებულია პირობები:

$$|t(\tau)-\tilde{t}(\tau)|\le\varepsilon,\qquad \tau\in[0,2\pi],\qquad \|t'-\tilde{t}'\|_{C_\alpha}\le\varepsilon,\quad 0<\alpha\le 1 \tag{2.2.}$$

ნებისმიერი $\varepsilon\in(0,1)$ რიცხვისათვის მოგვეცემა G არის ε –მახლობელი არეების უსასრულო სიმრავლე რომელც $\Omega(G,\varepsilon)$ სიმბოლოთი აღინიშნება.

ვთქვათ, G_0 ცალადბმული არეა $\mathbb{C}$ სიბრტყეზე ისეთი, რომ $\partial G_0=\Gamma_0\in C'_\alpha \quad (0<\alpha\le 1)$, $G\subset G_0$ და ნებისმიერი $\tilde{G}\in\Omega(G;\varepsilon)$, მახლობელი არისათვის $\tilde{G}\subset G_0$.

კომპლექსურ $\mathbb{C}$ სიბრტყეში განვიხილოთ ბელტრამის განტოლებათა სისტემა კომპლექსური ფორმით

$$\omega_{\bar z}=q(z)\omega_z \tag{2.3.}$$

იმ დაშვებით,რომ $|q(z)|\le Q_0<1,\qquad q\in C'_\gamma\left(\overline{G_0}\right),\qquad 0<\gamma\le 1$ როცა, $z\in\overline{G_0}$ და $q(z)=0$ როცა, $z\in\mathbb{C}\setminus\overline{G_0}$, სადაც

$$\omega_z=\frac{1}{2}\left(\frac{\partial\omega}{\partial x}-i\frac{\partial\omega}{\partial y}\right)\qquad \omega_{\bar z}=\frac{1}{2}\left(\frac{\partial\omega}{\partial x}+i\frac{\partial\omega}{\partial y}\right)$$

დავუშვათ W წარმოადგენს (2,3) სისტემის ამონახსნს რომელსაც კომპლექსური $\mathbb{C}$ სიბრტყის გლობალური ჰომეომორფიზმი უწოდოთ. იგი აიგება ი. ნ. ვეკუას (Vekua 1988: თ.2) სქემის მიხედვით და განახორციელებს კომპლექსური $\mathbb{C}$ სიბრტყის თავის თავზე ჰომეომორფიზმს მასთან $W(0)=0,\quad W(\infty)=\infty,\quad z^{-1}W(z)\to 1$ როცა $|z|\to\infty$ და თანახმად (Manjavidze 1967)–ისა

$$W,\quad W_z,W_{\bar z}\in C_{\gamma_0}\left(\overline{G_0}\right)\ \text{სადაც}\ 0<\gamma_0<\min\{\alpha,\gamma\}. \tag{2.4}$$

$W(z)$ ჰომეომორფიზმი ცნობილია (2.3) განტოლებათა სისტემის ძირითადი ჰომეომორფიზმის სახელწოდებით.

კოშის ტიპის ინტეგრალი $\mu\in C_\alpha[0,2\pi], 0<\alpha\le 1$, სიმკვრივით Γ წირის გასწვრივ და მისი შესაბამისი სინგულარული ინტეგრალი $t(\tau)\in\Gamma$ წერტილში აღინიშნებიან ასე:

$$K_{\Gamma}(\mu,z)=\frac{1}{\pi i}\int_{\Gamma}\frac{\mu(t)dt}{t-z}(z\in$$ [redacted] $$(\mu,t)=S_{\Gamma}(\mu,t(\tau))=$$

$$=\frac{1}{\pi i}\int_{\Gamma}\frac{\mu[t(\sigma)]-\mu[t(\tau)]}{t(\sigma)-t(\tau)}dt(\sigma)=\lim_{\eta\to 0}\frac{1}{\pi i}\int_{\Gamma\setminus\Gamma_{\eta}}\frac{\mu[t(\sigma)]-\mu[t(\tau)]}{t(\sigma)-t(\tau)}dt(\sigma)\quad \sigma\in[0,2\pi]$$

სადაც $\Gamma_{\eta}=\{z:|z-t(\tau)|<\eta\}\bigcap\Gamma$ აღნიშნავს Γ წირის ნაწილს რომელიც მოქცეულია $|z-t(\tau)|<\eta$ წრის შიგნით.

თუ $\mu\in C'_{\alpha}\left[0,2\pi\right]$, $0<\alpha\leq 1$ მაშინ (იხ.Гахов 1963: 49)

$$\frac{dS_{\Gamma}\left(\mu,t\left(\tau\right)\right)}{dt\left(\tau\right)}=S_{\Gamma}\left(\mu'_{t},t\left(\tau\right)\right). \qquad (2.5)$$

თუ Γ მოცემული გლუვი ჩაკეტილი წირია,არსებობს რიცხვი R_{Γ} (იხ. Мусхелишвили 1982: 13), რომელიც არ არის დამოკიდებული Γ წირის წერტილებზე ისე, რომ ნებისმიერი $t=t\left(\tau\right)\in\Gamma$, $0\leq\tau\leq 2\pi$ წერტილისათვის ნებისმიერი წრეწირი რადიუსით $r\leq R_{\Gamma}$ და ცენტრით $t\left(\tau\right)$ წერტილში, Γ წირს კვეთს მხოლოდ ორ წერტილში. R_{Γ}–ს ეწოდება სტანდარტული რადიუსი.წრეს $\{z:|z-t|<R_{\Gamma}\}$, $t\in\Gamma$ რომელიც Γ წირს კვეთს ერთადეთ $l\left(t\right)=\{z:|z-t|<R_{\Gamma}\}\bigcap\Gamma$ რკალზე, სტანდარტული წრე ეწოდება, ხოლო $l\left(t\right)$ რკალს სტანდარტული რკალი ცენტრით $t\in\Gamma$ წერტილში.

როგორც ცნობილია (იხ. Мусхелишвили 1982: 523-525), თუ Γ გლუვი ჩაკეტილი წირია,მაშინ ნებისმიერი $t_1,t_2\in\Gamma$ წერტილებისათვის გვაქვს

$$|t_1-t_2|\geq k_0 s\left(t_1,t_2\right) \qquad (2.6)$$

სადაც $s\left(t_1,t_2\right)$ არის Γ წირის იმ უმცირესი რკალის სიგრძე რომლის ბოლოებია t_1 და t_2 ხოლო k_0, $0<k_0<1$ დადებითი მუდმივია, რომელიც არ არის დამოკიდებული Γ წირზე t_1 და t_2 წერტილების განლაგებაზე. აღვნიშნოთ ასევე ისიც, რომ ნებისმიერი $t\in\Gamma$ წერტილისათვის $l\left(t\right)$ სტანდარტული რკალის სიგრძე ნაკლებია რიცხვზე $\frac{1}{2}|\Gamma|$, სადაც $|\Gamma|$ აღნიშნავს Γ წირის სიგრძეს(იხ. Мусхелишвили 1982: 523-525).

ამ პუნქტის ბოლოს შევთანხმდეთ და შემდგომ მსჯელობებში ყოველთვის ვიგულისხმოთ, რომ $\alpha,\gamma\in(0,1]$, ხოლო M მუდმივი, რომელიც მაგალითად

დამოკიდებულია G არეზე, W ჰომომორფიზმზე და ჰელდერის α მაჩვენებელზე და არ არის დამოკიდებული ε –ზე,სადაც $\varepsilon > 0$ ნამდვილი პარამეტრია რომელიც ახასიათებს არეების სიახლოვეს, აღინიშნება, ასე $M = M(G,W,\alpha)$.

ზოგიერთი ცნობები ასახვათა თეორიიდან. მოვიყვანოთ ცნობილი შედეგები ასახვათა თეორიიდან და, ასევე, ზოგიერთი დამხმარე ფორმულები და წინადადებები, რომლებიც გამოიყენებიან შემდგომ მსჯელობებსა და დამტკიცებებში.

ვიტყვით, რომ კომპლექსური $\omega = f(z)$ ფუნქცია განახორციელებს ცალადბმული G არის ერთეულოვან $|\omega|<1$ წრეზე (2.3) სისტემის შესაბამის კვაზიკონფორმულ ასახვას თუ ω ჰომომორფულად ასახავს G არეს $|\omega|<1$ წრეზე და აკმაყოფილებს (2.3) პირობას.

ნაშრომში (Kveselava, Samsonia 1980) დამუშავებულია ბელტრამის (2.3) სისტემის შესაბამისი ცალადბმული და მრავლადბმული არეების კვაზიკონფორმული ასახვების აგების კონსტრუქციული მეთოდები. ასეთ კონსტრუქციებში საკვანძო როლს თამაშობს (2.3) სისტემის W ჰომეომორფიზმი. ასეთი ასახვების გაცნობის მიზნით დავიწყოთ იმით, რომ, (Kveselava, Samsonia 1980)-ის თანახმად, შემდეგი ინტეგრალით წარმოდგენადი ფუნქცია

$$K_\Gamma(\varphi,W,z) = \frac{1}{\pi i}\int_\Gamma \frac{\varphi(t)dW(t)}{W(t)-W(z)} \qquad (z \in \mathbb{C} \setminus \Gamma) \qquad (3.1.)$$

სადაც $dW(t) = W_t dt + W_{\bar{t}} d\bar{t}$ ხოლო $\varphi(t)$ ჰელდერის აზრით უწყვეტი ფუნქციაა, წარმოადგენ (2.3) სისტემის ამონახსნს G არეში, ხოლოა $\mathbb{C} \setminus \bar{G}$ არეში კი ჰოლომორფულ ფუნქციას, მასთან $K_\Gamma(\varphi,W,\infty) = 0$.

(3.1) ინტეგრალს შეიძლება მივცეთ აზრი იმ შემთხვევაშიც, როცა წერტილი მდებარეობს Γ წირზე.დაუშვათ

$$s = s(\tau) = W[t(\tau)], \qquad 0 \le \tau \le 2\pi, \qquad s(0) = s(2\pi)$$
$$\tilde{s} = \tilde{s}(\tau) = W[\tilde{t}(\tau)], \qquad 0 \le \tau \le 2\pi, \qquad \tilde{s}(0) = \tilde{s}(2\pi) \qquad (3.2)$$

წარმოადგენენ $L = W(\Gamma)$ და $\tilde{L} = W(\tilde{\Gamma})$ წირების განტოლებებს შესაბამისად.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველ $t \in \Gamma$ წერტილში W გარდაქმნის იაკობიანი განსხვავდება ნულისაგან $J = |W_t|^2 - |W_{\bar{t}}|^2 > 0$ (იხ.Vekua 1988:

81), მაშინ $s'(\tau)=W_t t'(\tau)+W_{\bar{t}}\bar{t}'(\tau)$ ტოლობიდან და (2.4) პირობიდან გამომდინარეობს, რომ Γ –ს სახე W ასახვისას ისევ $C'_{\gamma 0}$ კლასის წირია, ანუ

$$s,\tilde{s}\in C'_{\gamma 0}[0,2\pi], \qquad (3.3)$$

სადაც γ_0 (2.4) პირობაში მონაწილე მუდმივია $0<\gamma_0<\min\{\alpha,\gamma\}$.

დაუშვათ $z\bar{\in}\Gamma$, მაშინ $W(z)\bar{\in} L$ და (3.1)–დან ვღებულობთ

$$K_\Gamma(\varphi,W,z)=K_L(h;W(z)), \qquad (3.4)$$

სადაც

$$h(s)=h[s(\tau)]=\left(\varphi\cdot W^{-1}\right)[s(\tau)]=\varphi[t(\tau)] \quad \tau\in[0,2\pi], \qquad (3.4')$$

ხოლო $K_L(h;W(z))$ ინტეგრალი არის კოშის ტიპის ინტეგრალი h სიმკვრივით L წირის გასწვრივ. ამიტომ (3.1) ფუნქციას შემდგომში გამოვიყენებთ კოშის ტიპის ინტეგრალის ანალოგად ბელტრამის სისტემისათვის.

ფიქსირებული $t(\tau)\in\Gamma$ წერტილისათვის განვიხილოთ სიმრავლეები

$$\Gamma_\delta(t)=\{t(\sigma)\in\Gamma;\quad 0\le\sigma\le\tau-\delta \text{ или } \tau+\delta\le\sigma<2\pi\}$$

при $t\ne t(0)$ (3.5)

და

$$\Gamma_\delta(0)=\{t(\sigma)\in\Gamma;\quad \delta\le\sigma\le 2\pi-\delta\} \quad \text{при } t=t(0)=t(2\pi) \qquad (3.5')$$

სადაც $0<\delta\le\min\{\tau,2\pi-\tau\}$. W ასახვის ჰომეომორფულობის გამო ნებისმიერი $t(\tau)\in\Gamma$ წერტილისათვის გვექნება $W[\Gamma_\delta(t)]=L_\delta[W(t)]=L_\delta(s)$.ვინაიდან L გლუვი წირია და h უწყვეტია ჰელდერის აზრით L წირზე ამიტომ ნებისმიერ $s=s(\tau)\in L,\quad 0\le\tau\le 2\pi$ წერტილში არსებობს სინგულარული ინტეგრალი $S_L(h,s)$ სადაც h (3.4') ფორმულით განსაზღვრული ფუნქციაა და მარტივად ვაჩვენებთ, რომ ეს ინტეგრალი ემთხვევა ზღვარს

$$S_L(h;s)=\lim_{\delta\to 0}\frac{1}{\pi i}\int_{L_\delta(s)}\frac{h[s(\sigma)]-h[s(\tau)]}{s(\sigma)-s(\tau)}ds(\sigma)$$

მაშინ ტოლობიდან

$$\frac{1}{\pi i}\int\limits_{\Gamma_{\delta}(t)}\frac{\varphi[t(\sigma)]-\varphi[t(\tau)]}{W[t(\sigma)]-W[t(\tau)]}\,dW[t(\sigma)]=\frac{1}{\pi i}\int\limits_{L_{\delta}(s)}\frac{h[s(\sigma)]-h[s(\tau)]}{s(\sigma)-s(\tau)}\,ds(\sigma),$$

$(s=W(t))$

გამომდინარეობს, რომ Γ წირის ყოველ $t=t(\tau)$ წერტილში არსებობს (3.1) სისტსმის შესაბამისი სინგულარული ინტეგრალი

$$S_{\Gamma}(\varphi,W,t)=\lim_{\delta\to 0}\frac{1}{\pi i}\int\limits_{\Gamma_{\delta}(t)}\frac{\varphi[t(\sigma)]-\varphi[t(\tau)]}{W[t(\sigma)]-W[t(\tau)]}\,dW[t(\sigma)]=S_{L}(h,s)$$

(3.6)

და ადგილი აქვს ფორმულებს:

$$K_{\Gamma}^{+}(\varphi,W,t)=\lim_{z\to t}K_{\Gamma}(\varphi,W,z)=2\varphi(t)+S_{\Gamma}(\varphi,W,t),\qquad (z\in G)$$
$$K_{\Gamma}^{-}(\varphi,W,t)=\lim_{z\to t}K_{\Gamma}(\varphi,W,z)=S_{\Gamma}(\varphi,W,t),\qquad \left(z\in \mathbb{C}\setminus\overline{G}\right)\qquad (3.7)$$

როგორც აღინიშა, ნაშრომში (Kveselava, Samsonia 1980) აგებულია ფუნქცია, რომელიც კვაზიკონფორმულად ასახავს ცალადბმულ G $(0\in G)$ არეს ერთეულოვან წრეზე. ასეთი ფუნქციის აგება ხორციელდება იმ დაშვებით, რომ ბელტრამის (2.3) განტოლების კოეფიციენტი მიეკუთვნება $C'_{\gamma}\left(\overline{G_0}\right)$, კლასს და აქვს სახე (იხ. Kveselava, Samsonia 1980)

$$f(z)=W(z)\exp\{K_{\Gamma}(\lambda,W,z)+ic\},\qquad (z\in G)\qquad (3.8)$$

$f(0)=0,\quad f(z_1)=1$ (z_1, Γ წირის ნებისმიერი წერტილია) სადაც ნამდვილი λ ფუნქცია წარმოადგენს შემდეგი ინტეგრალური განტოლების ამონახსნს

$$\lambda[t(\tau)]+\mathrm{Re}\frac{1}{\pi i}\int\limits_{\Gamma}\frac{\lambda[t(\sigma)]dW[t(\sigma)]}{W[t(\sigma)]-W[t(\tau)]}=-\ln W[t(\tau)],\qquad \sigma\in[0,2\pi],\qquad (3.9)$$

ხოლო c მუდმივი გამოითვლება ფორმულით:

$$c=-\arg W(z_1)-\frac{1}{\pi}\int\limits_{\Gamma}\lambda[t(\tau)]d\left[\ln|W[t(\tau)]-W(z_1)|\right],\qquad (3.10)$$

სადაც $\arg W(z_1)$ აღნიშნავს $W(z_1)$ წერტილის არგუმენტის მთავარ მნიშვნელობას, რომელიც მიეკუთვნება $[0,2\pi)$ შუალედს.

(3.9) განტოლება წარმოადგენს ფრედგოლმის განტოლებას რომლის მარჯვენა მხარე მიეკუთვნება $C'_{\gamma 0}[0,2\pi]$, $0<\gamma_0<\min\{\alpha,\gamma\}$ კლასს, რომლის

შესაბამის ერთგვაროვან განტოლებას აქვს მხოლოდ ტრივიალური ამონახსნი $\lambda(t)\equiv 0$. ამიტომ (3.9) განტოლებას გააჩნია ერთად ერთი ამონახსნი λ (Kveselava, Samsonia 1980).

ანალოგიურად აიგება ფუნქცია:

$\tilde{f}$ [redacted] $z)\exp\{K_{\tilde{\Gamma}}(\tilde{\lambda},W,z)+i\tilde{c}\},\qquad (z\in\tilde{G}),\qquad (3.11)$

რომელიც $\tilde{G}\in\Omega(G,\varepsilon)$ არეს ასახავს ერთეულოვან წრეზე პირობებით $\tilde{f}(0)=0$, $\tilde{f}(\tilde{z}_1)=1$ ($\tilde{z}_1$, $\tilde{\Gamma}$ წირის ნებისმიერი წერტილია) $\tilde{\lambda}$ წარმოადგენს ფრედგოლმის ტიპის ინტეგრალური განტოლების ერთადერთ ამონახსნს

$$\tilde{\lambda}[\tilde{t}(\tau)]+\mathrm{Re}\frac{1}{\pi i}\int_{\tilde{\Gamma}}\frac{\tilde{\lambda}[\tilde{t}(\sigma)]dW[\tilde{t}(\sigma)]}{W[\tilde{t}(\sigma)]-W[\tilde{t}(\tau)]}=-\ln|W[\tilde{t}(\tau)]|,\qquad \sigma\in[0,2\pi]\qquad (3.12)$$

სადაც $\tilde{\Gamma}\in C'_{\alpha}$, და

$$\tilde{c}=-\arg W(\tilde{z}_1)-\frac{1}{\pi}\int_{\tilde{\Gamma}}\tilde{\lambda}[\tilde{t}(\tau)]d[\ln|W[\tilde{t}(\tau)]-W(\tilde{z}_1)|]\qquad (3.13)$$

ინტეგრალურ განტოლებათა ამონახსნებისა და მათი წარმოებულების სხვაობების შეფასება. მახლობელი არეების კონფორმული ასახვების შესწავლის დროს (იხ. Samsonia, Samkharadze 1999, Zivzivadze, Japaridze 2005, Zivzivadze, Japaridze 2006) გვხვდება შემდეგი ინტეგრალური განტოლებები:

$$\varphi\left[t(\tau)\right]+\mathrm{Re}\frac{1}{\pi i}\int_{\Gamma}\frac{\varphi[t(\sigma)]dt(\sigma)}{t(\sigma)-t(\tau)}=-\ln|t(\tau)|,\qquad t\in\Gamma\qquad (4.1)$$

$$\tilde{\varphi}[\tilde{t}(\tau)]+\mathrm{Re}\frac{1}{\pi i}\int_{\tilde{\Gamma}}\frac{\tilde{\varphi}[\tilde{t}(\sigma)]d\tilde{t}(\sigma)}{\tilde{t}(\sigma)-\tilde{t}(\tau)}=-\ln|\tilde{t}(\tau)|,\qquad \tilde{t}\in\tilde{\Gamma}\qquad (4.2)$$

რომლებიც შედგენილი არიან G და $\tilde{G}$ არეებისათვის შესაბამისად, სადაც $\Gamma,\tilde{\Gamma}\in C'_{\alpha}$ ხოლო φ და $\tilde{\varphi}$ საძიებელი ნამდვილი ფუნქციებია. ეს განტოლებები რომელთა მარჯვენა მხარეები მიეკუთვნებიან $C'_{\alpha}[0,2\pi]$ კლასს, წარმოადგენენ ფრედჰოლმის ტიპის განტოლებებს (იხ. Мусхелишвили 1982: 226-

231) და გააჩნიათ ერთად–ერთი ამონახსნი. ამ ამონახსნების საშუალებით აიგებიან გადამსახველი ფუნქციები.

ამ განტოლებების ამონახსნებისათვის ნაშრომში (Zivzivadze, Japaridze 2022) მიღებულია შეფასებები. კერძოდ, არსებობს $a_1(G) = a_1 \in (0,1)$ მუდმივი ისეთი, რომ თუ G და $\tilde{G} \in \Omega(G,\varepsilon)$, $0 < \varepsilon \le a_1$ არეების Γ და $\tilde{\Gamma}$ საზღვრები მიეკუთვნებიან C'_α კლასს, მაშინ სამართლიანია შეფასება

$$\| \varphi - \tilde{\varphi} \|_{C_{\alpha-\beta}} \le A_2(G,\beta) \| \varphi \|_{C_{\alpha-\beta}} \varepsilon, \quad \| \varphi' - \tilde{\varphi}' \|_{C_{\alpha-\beta}} \le A_2(G,\beta) \| \varphi' \|_{C_{\alpha-\beta}} \varepsilon, \quad (4.3)$$

სადაც, φ და $\tilde{\varphi}$ (4.1) და (4.2) განტოლებების ერთად–ერთი ამონახსნებია ხოლო β, α–ზე ნაკლები ნებისმიერი დადებითი რიცხვია.

რაც შეეხება (3.9) და (3.12) ინტეგრალური განტოლებების ამონახსნების სხვაობას, იმავე ნაშრომში ნაჩვენებია, რომ არსებობს $a_2(G;W) = a_2 \in (0,1)$ რიცხვი ისეთი, რომ თუ G და $\tilde{G} \in \Omega(G,\varepsilon)$, $0 < \varepsilon \le a_2$ არეები, რომელთა საზღვრები მიეკუთვნებიან C'_α კლასს ε მახლობელი არიან (2.2) აზრით, მაშინ სამართლიანია შეფასებები:

$$\begin{aligned} \| \lambda - \tilde{\lambda} \|_{C_{\frac{\gamma_0}{2}-\beta}} &\le B_1(G,W,\beta) \| \lambda \|_{C_{\frac{\gamma_0}{2}-\beta}} \cdot \varepsilon^{\gamma_0/2}, \\ \| \lambda' - \tilde{\lambda}' \|_{C_{\frac{\gamma_0}{2}-\beta}} &\le B_1(W,G,\beta) \| \lambda' \|_{C_{\frac{\gamma_0}{2}-\beta}} \cdot \varepsilon^{\gamma_0/2} \end{aligned} \quad (4.4)$$

სადაც λ и $\tilde{\lambda}$ წარმოადგენენ (3.9) და (3.12) განტოლებების ერთადერთ ამონახსნებს შესაბამისად, γ_0 კი არის ნამდილი მუდმივა (2.4)–დან.

მახლობელი არეების შესაბამისი სინგულარული ინტეგრალების სხვაობის შეფასება. შემდგომი მსჯელობებისათვის დაგვჭირდება ზოგიერთი შეფასებები. დავუშვათ, გლუვი Γ წირის განტოლებაა (2.1), ხოლო $\tilde{t} = \tilde{t}(\tau)$ $\tau \in [0,2\pi]$ არის $\tilde{\Gamma} = \partial \tilde{G}$–ის განტოლება, სადაც $\tilde{G} \in \Omega(G,\varepsilon)$, $0 < \varepsilon < 1$. (2.2)–დან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $\tau, \tau_0 \in [0,2\pi]$ გვაქვს

$$| t(\tau) - t(\tau_0) - \tilde{t}(\tau) + \tilde{t}(\tau_0) | \le 2\varepsilon . \quad (5.1)$$

(2.2)–ის საფუძველზე ნებისმიერი $\tau, \tau_0 \in [0, 2\pi]$ მნიშვნელობებისათვის ვღებულობთ შეფასებას

$$|t(\tau)-t(\tau_0)-\tilde{t}(\tau)+\tilde{t}(\tau_0)|=|(t-\tilde{t})(\tau)-(t-\tilde{t})(\tau_0)|\leq$$
$$\leq|\mathrm{Re}[(t-\tilde{t})(\tau)]-\mathrm{Re}[(t-\tilde{t})(\tau_0)]|+|\mathrm{Im}[(t-\tilde{t})(\tau)]-\mathrm{Im}[(t-\tilde{t})(\tau_0)]|= \tag{5.2}$$
$$=(|\mathrm{Re}(t'-\tilde{t}')(\theta_1)|+|\mathrm{Im}(t'-\tilde{t}')(\theta_2)|)|\tau-\tau_0|\leq 2\|t'-\tilde{t}'\|_{C_\alpha}|\tau-\tau_0|\leq 2\varepsilon|\tau-\tau_0|$$

სადაც θ_1 და θ_2 მუდმივები მდებარეობენ τ და τ_0 სიდიდეებს შორის.

თუ გავითვალისწინებთ $t(0)=t(2\pi)$ პირობას (5.2)–ის მსგავსად მიიღება შეფასება

$$|t(\tau)-t(\tau_0)-\tilde{t}(\tau)+\tilde{t}(\tau_0)|\leq 2\varepsilon(2\pi-|\tau-\tau_0|) \tag{5.2'}$$

ნებისმიერი $\tau, \tau_0 \in [0, 2\pi]$.

Γ წირზე ავიღოთ ნებისმიერად $t_0 = t(\tau_0)$ $\tau_0 \in [0, 2\pi]$ წერტილი. მაშინ, თუ $t = t(\tau) \in \Gamma \setminus l(t_0)$, გვაქვს

$$|t(\tau)-t(\tau_0)|\geq R_\Gamma \tag{5.3}$$

სადაც $l(t_0)$ და R_Γ აღნიშნავენ Γ წირის სტანდარტულ რკალს ცენტრით t_0 წერტილში და სტანდარტულ რადიუსს შესაბამისად.

(5.1) და (5.3) პირობებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $\tau_0 \in [0, 2\pi]$ მნიშვნელობისათვის და ნებისმიერი τ მნიშვნელობისათვის $\{\tau \in [0, 2\pi];\quad t(\tau) \in \Gamma \setminus l(t_0)\}$ სიმრავლიდან ადგილი აქვს უტოლობას

$$|\tilde{t}(\tau)-\tilde{t}(\tau_0)|>\frac{1}{2}R_\Gamma \tag{5.3'}$$

როგორიც არ უნდა იყოს $\tilde{\Gamma} = \partial\tilde{G}, \quad \tilde{G} \in \Omega(G, \varepsilon)$, როცა $\varepsilon \in (0, \frac{1}{4}R_\Gamma]$.

დავუშვათ $t_0 = t(\tau_0) \in \Gamma \setminus l(t'), \quad \tau_0 \in (0, 2\pi)$ სადაც $l(t')$ სტანდარტული რადიუსია ცენტრით $t' = t(0)$ წერტილში. (2.6)–დან ჩანს, რომ თუ $t(\tau) \in l(t_0)$, მაშინ სრულდება უტოლობა

$$|t(\tau)-t(\tau_0)|\geq k_0 s(t_0, t) = k_0\left|\int_{\tau_0}^{\tau}|t'(u)|\,du\right|\geq k_0 p|\tau-\tau_0|$$

სადაც $p = \min\limits_{\tau\in[0;\tau]} |t'(\tau)|$, ხოლო $-k_0$ არის მუდმივი (2.6)–დან. ამრიგად, როგორიც არ უნდა იყოს $t_0 = t_0(\tau_0) \in \Gamma \setminus l(t')$ წერტილი, გვაქვს შეფასება

$$|t(\tau) - t(\tau_0)| \geq k_0 p |\tau - \tau_0| \qquad (5.4)$$

ნებისმიერი $t(\tau) \in l(t_0)$ წერტილისათვის.

გამოვიყენოთ (5.2) და (5.4)–დან ნებისმიერი τ_0–ის $[0, 2\pi]$ სეგმენტიდან, რომელიც აკმაყოფილებს $t_0 = t(\tau_0) \in \Gamma \setminus l(t')$, $t' = t(0)$, პირობებს და ნებისმიერი $\tilde{\Gamma} = \partial \tilde{G}$ წირისათვის, განტოლებით $\tilde{t} = \tilde{t}(\tau), \quad \tau \in [0, 2\pi], \quad \tilde{G} \in \Omega(G, \varepsilon)$, როცა $\varepsilon \in (0, \frac{k_0 p}{4}]$ სრულდება პირობა

$$|\tilde{t}(\tau) - \tilde{t}(\tau_0)| \geq \frac{1}{2} k_0 p |\tau - \tau_0| \qquad (5.4')$$

როგორიც არ უნდა იყოს τ, $\{\tau \in [0, 2\pi] : t(\tau) \in l(t_0)\}$ სიმრავლიდან.

ახლა დავუშვათ, რომ $t_0 \in l(t'), \quad \tau_0 \in [0, 2\pi], \quad t' = t(0)$ და $l(t_0)$ სტანდარტული რკალია $t_1 = t(\tau_1)$ და $t_2 = t(\tau_2)$ ბოლოებით, $0 < \tau_1 < \tau_2 < 2\pi$. ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ

$l(t_0) = l_1(t_0)$ [redacted] $\}$

განვიხილოთ შემთხვევა როცა $t_0 \in l_1(t_0)$. მაშინ (2.6)–დან გამომდინარეობს, რომ, თუ $t(\tau) \in l_2(t_0)$, მაშინ

$$|t(\tau) - t(\tau_0)| \geq k_0 s(t, t_0) = k_0 \left(|\int_\tau^{2\pi} |t'(u)|\, du + \int_\tau^{2\pi} |t'(u)|\, du \right) \geq k_0 p (2\pi - |\tau - \tau_0|)$$

(5.5)

სადაც $p = \min\limits_{[0,2\pi]} |t'(\tau)|$. ცხადია, იმ შემთხვევაში, როცა $t(\tau) \in l_1(t_0)$ სრულდება (5.4) შეფასება.

(5.2') და (5.5) პირობებიდან გამომდინარეობს, რომ, თუ $t_0 \in l_1(t_0)$, მაშინ ნებისმიერი $\tilde{\Gamma} = \partial \tilde{G}$ წირისათვის, რომლის განტოლებაა $\tilde{t} = \tilde{t}(\tau), \quad \tau \in [0, 2\pi]\ \tilde{G} \in \Omega(G, \varepsilon)$, როცა $\varepsilon \in (0, \frac{k_0 p}{4}]$ სამართლიანია უტოლობა

$$|\tilde{t}(\tau) - \tilde{t}(\tau_0)| \geq \frac{k_0 p}{2} (2\pi - |\tau - \tau_0|) \qquad (5.5')$$

როგორიც არ უნდა იყოს τ, $\{\tau \in [0,2\pi]: t(\tau) \in l_2(t_0)\}$ სიმრავლიდან. ცხადია თუ τ მიეკუთვნება $\{\tau \in [0,2\pi]: t(\tau) \in l_1(t_0)\}$ სიმრავლეს, მაშინ სრულდება (5.4.') შეფასება.

განსახილველი დაგვრჩა $t_0 \in l_2(t_0)$ შემთხვევა. წინა შემთხვევის ანალოგიურად ვაჩვენებთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა $t(\tau) \in l_1(t_0)$, სრულდება (5.5) და (5.5') შეფასებები, როცა $\tau \in (\tau_2, 2\pi]$ და $\tau \in [0, \tau_1)$ შესაბამისად.

თეორემა 5.1. არსებობს ისეთი $b_0(G) = b_0 \in (0,1)$ მუდმივა, რომ, თუ G და $\tilde{G} \in \Omega(G,\varepsilon)$, $0 < \varepsilon \le b_0$ არეების საზღვრები მიეკუთვნებიან C'_α კლასს, φ და $\tilde{\varphi}$ წარმოადგენენ (4.1) და (4.2) ინტეგრალური განტოლებების ერთადერთ ამონახსნებს $C'_\alpha[0,2\pi]$ კლასიდან, მაშინ სამართლიანია შეფასება

$$\| S_\Gamma - S_{\tilde{\Gamma}} \|_{C'} \le K_0(G)\varepsilon \tag{5.6}$$

სადაც $S_\Gamma(\tau) = S_\Gamma(\varphi; t(\tau))$ და $S_{\tilde{\Gamma}}(\tau) = S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{\varphi}; \tilde{t}(\tau))$.

დამტკიცება. დასაწყისისთვის დაუშვათ, რომ $t_0 = t(\tau_0)$ ფიქსირებული წერტილია Γ წირზე და $t' = t(0) \bar{\in} l(t_0)$ სადაც $l(t_0) = \{t(\tau); \quad \tau \in [\tau_1, \tau_2]\}$ არის სტანდარტული რკალი ცენტრით t_0 წერტილში $t_1 = t(\tau_1)$ და $t_2 = t(\tau_2)$ ბოლოებით მასთან $0 < \tau_1 < \tau_0 < \tau_2 < 2\pi$. ჩაწერის სიმოკლის მიზნით შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$m = m(\tau,\tau_0) = \varphi(\tau) - \varphi(\tau_0), \quad \tilde{m} = \tilde{m}(\tau,\tau_0) = \tilde{\varphi}(\tau) - \tilde{\varphi}(\tau_0), \qquad \tau, \tau_0 \in [0,2\pi]$$

დავუშვათ, $0 < \delta < \min\{\tau_0; 2\pi - \tau_0, \tau_0 - \tau_1, \tau_2 - \tau_0\}$ და $t_0 = t(\tau_0)$ და $\tilde{t} = \tilde{t}(\tau_0)$ წერტილებისათვის განვიხილოთ $\Gamma_\delta(\tau_0)$ და $\tilde{\Gamma}_\delta(\tilde{t}_0)$ სიმრავლეები (იხ (3.5)) და შევაფასოთ სხვაობა:

$$|J|=\left|\int\limits_{\Gamma_\delta(t_0)}\frac{\varphi(t)-\varphi(t_0)}{t-t_0}dt-\int\limits_{\tilde\Gamma_\delta(\tilde t_0)}\frac{\tilde\varphi(\tilde t)-\tilde\varphi(\tilde t_0)}{\tilde t-\tilde t_0}d\tilde t\right|\le$$
$$\le\left(\int\limits_{\tau_1}^{\tau_0-\delta}+\int\limits_{\tau_0+\delta}^{\tau_2}\right)\left|\frac{\varphi(t)-\varphi(t_0)}{t-t_0}t'(\tau)-\frac{\tilde\varphi(\tilde t)-\tilde\varphi(\tilde t_0)}{\tilde t-\tilde t_0}\tilde t'(\tau)\right|d\tau+$$
$$+\left(\int\limits_{0}^{\tau_1}+\int\limits_{\tau_2}^{2\pi}\right)\left|\frac{\varphi(t)-\varphi(t_0)}{t-t_0}t'(\tau)-\frac{\tilde\varphi(\tilde t)-\tilde\varphi(\tilde t_0)}{\tilde t-\tilde t_0}\tilde t'(\tau)\right|d\tau\le \tag{5.7.}$$
$$\le\left(\int\limits_{\tau_1}^{\tau_0-\delta}+\int\limits_{\tau_2+\delta}^{\tau_2}\right)\left|\frac{mt'[(\tilde t-\tilde t_0)-(t-t_0)]}{(t-t_0)(\tilde t-\tilde t_0)}\right|dt+\left(\int\limits_{\tau_1}^{\tau_0-\delta}+\int\limits_{\tau_0+\delta}^{\tau_2}\right)\left|\frac{(m-\tilde m)}{t-t_0}\right|d\tau+$$
$$+\left(\int\limits_{\tau_1}^{\tau_0-\delta}+\int\limits_{\tau_0+\delta}^{\tau_2}\right)\left|\frac{\tilde m(t'-\tilde t')}{\tilde t-\tilde t_0}\right|d\tau+$$
$$+\left(\int\limits_{0}^{\tau_1}+\int\limits_{\tau_2}^{2\pi}\right)\left[\left|\frac{mt'[(\tilde t-\tilde t_0)-(t-t_0)]}{(t-t_0)(\tilde t-\tilde t_0)}\right|+\left|\frac{(m-\tilde m)}{t-t_0}\right|+\left|\frac{\tilde m(t'-\tilde t')}{\tilde t-\tilde t_0}\right|\right]d\tau=J_1+J_2+J_3+J_4$$

დავუშვათ, $b_0^{'}(G)=b_0^{'}\in(0,1)$ ისეთი მუდმივია, რომ ნებისმიერი $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ რიცხვისათვის ერთდროულად სრულდება (4.3), (5.3'), (5.4') და (5.5') პირობები. მაშინ, თუ გავითვალისწინებთ, რომ $\varphi\in C_\alpha^{'}[0,2\pi]$ და გამოვიყენებთ (4.3), (5.1), (5,4) და (5.4') უტოლობებს, ნებისმიერი $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ნამდვილი რიცხვისათვის მივიღებთ:

$$J_1\le\max_{(0,2\pi]}|t'(\tau)|\frac{4\|\varphi\|_{C_\alpha}\varepsilon}{k_0^2p^2}\left(\int\limits_{\tau_1}^{\tau_0-\delta}+\int\limits_{\tau_0+\delta}^{\tau_2}\right)\frac{|\tau-\tau_0|^\alpha|\tau-\tau_0|}{|\tau-\tau_0|^2}d\tau\le K_1(G)\|\varphi\|_{C_\alpha}\varepsilon \tag{5.8}$$

(4.3) პირობის ძალით ნებისმიერი $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ რიცხვისათვის მივიღებთ

$$|m-\tilde m|=|(\varphi-\tilde\varphi)(\tau)-(\varphi-\tilde\varphi)(\tau_0)|\le\|\varphi-\tilde\varphi\|_{C_{\alpha-\beta}}|\tau-\tau_0|^{\alpha-\beta}\le K_2(G)\|\varphi\|_{C_{\alpha-\beta}}\varepsilon \tag{5.9}$$

სადაც β არის α–ზე ნაკლები ნებისმიერი დადებითი რიცხვია. მაშინ (5.4) და (5.9) პირობებიდან მიიღება შეფასება

$$J_2\le K_3(G)\|\varphi\|_{C_{\alpha-\beta}}\varepsilon \tag{5.10}$$

(5.9) პირობიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ რიცხვისათვის გვაქვს

$$|\tilde{m}|\leq | m-\tilde{m}|+|m|\leq K_2(G)\|\varphi\|_{C_{\alpha-\beta}}\ \varepsilon+|m|\leq K_4(G)\|\varphi\|_{C_\alpha}.$$

უკანასკნელი უტოლობიდან (2.2) და (5.4') პირობებიდან ნებისმიერი $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ რიცხვისეთვის J_3 შესაკრებისათვის (5.7)–დან გამომდინარეობს შეფასება

$$|J_3|\leq K_5(G)\|\varphi\|_{C_{\alpha-\beta}}\ \varepsilon \qquad (5.11)$$

ვინაიდან როცა $\tau\in[0,\tau_1]$[redacted]] სრულდება (5.3) და (5.3') პირობები, მაშინ, წინა შეფასებების მსგავსად, მიიღება, რომ

$$|J_4|\leq K_6(G)\|\varphi\|_{C_{\alpha-\beta}}\ \varepsilon \qquad (5.12)$$

როგორიც არ უნდა იყოს $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ დადებითი რიცხვი.

თუ (5.7)–ში გავითვალისწინებთ (5.8) (5.10) (5.11) და (5.12) პირობებს, რომლებიც სამართლიანი არიან, როცა $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ და, თუ გადავალთ ზღვარზე, როცა $\delta\to 0$ მივიღებთ:

$$|S_\Gamma(\varphi,t(\tau_0))-S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{\varphi},\tilde{t}(\tau_0))|\leq K_7(G)\varepsilon \qquad (5.13)$$

როცა $\tau_0\in[0,2\pi]$ და $t_0=t(\tau_0)\notin l(t')$.

ახლა დავუშვათ, რომ $t_0\in l(t')$, $t'=t(0)$, იმ პირობით, რომ $0\leq\tau_0<\tau_1<\tau_2<2\pi$, სადაც $t_1=t(\tau_1)$ და $t_2=t(\tau_2)$ წერტილები $l(t_0)$ რკალის ბოლოებია. t_0 წერტილის სხვაგვარი განლაგების შემთხვევა $t(0)$ წერტილის მიმართ განიხილება ანალოგიურად. ამრიგად, განიხილება შემთხვევა $0\leq\tau_0<\tau_1<\tau_2<2\pi$. ინტეგრების შუალედი დავანაწილოთ ნაწილებად $[\tau_2;2\pi],[0;\tau_0-\delta],[\tau_0+\delta;\tau_1],[\tau_1;\tau_2]$

$[\tau_2;2\pi]$ შუალედში შესაბამისი შეფასება ε–ის საშუალებით მოხდება (5.2'), (5.5') და (5.5) უტოლობების გამოყენებით, ინტეგრალქვეშა ფუნქციების პერიოდულობის გათვალისწინებით. რაც შეეხება ინტეგრების დანარჩენ შუალედებს შეფასებები მიიღება ზუსტად ისე, როგორც (5.8), (5.10), (5.11) და (5.12) უტოლობების შემთხვევაში. ამრაგად, როცა $\varepsilon\in(0,b_0^{'}]$ და $t_0\in l(t')$ გვაქვს

$$|S_\Gamma(\varphi,t(\tau_0))-S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{\varphi},\tilde{t}(\tau_0))|\leq K_8(G)\varepsilon \qquad (5.14)$$

ვინაიდან t_0 ნებისმიერად იყო აღებული ამიტომ (5.13) და (5.14) პირობებიდან გამომდინარეობს, რომ τ –ს ნებისმიერი მნიშვნელობისათვის $[0,2\pi]$ სეგმენტიდან და ნებისმიერი $\varepsilon \in (0,b_0^{'}]$ რიცხვისათვის სამართლიანია (5.14) ტიპის შეფასება.

განვიხილოთ სხვაობა

$$S_\Gamma^{'}(\tau)-S_{\tilde{\Gamma}}^{'}(\tau)=(S_\Gamma(\varphi,t(\tau)))_t^{'}\cdot t'(\tau)-(S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{\varphi},\tilde{t}(\tau)))_{\tilde{t}}^{'}\tilde{t}(\tau)=$$

$$=S_\Gamma(g,t(\tau))\cdot t'(\tau)-S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{g},\tilde{t}(\tau))\tilde{t}'(\tau)=S_\Gamma(g,t(\tau))\cdot[t'(\tau)-\tilde{t}'(\tau)]+ \qquad (5.15)$$

$$+\tilde{t}'(\tau)[S_\Gamma(g,t(\tau)-S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{g},\tilde{t}(\tau))]$$

სადაც, $g(\tau)=\varphi'(\tau)\,|\,t'(\tau)$ და $\tilde{g}(\tau)=\tilde{\varphi}'(\tau)\,|\,\tilde{t}'(\tau)$.

ვინაიდან φ და $\tilde{\varphi}$ წარმოადგენენ (4.1) და (4.2) განტოლების ამონახსნებს ამიტომ (4.3) და (2.2.) პირობებიდან მარტივად დავადგენთ, რომ ε –ის საკმაოდ მცირე დადებითი მნიშვნელობებისათვის სრულდება შეფასება

$$\| g-\tilde{g}\|_{C_{\alpha-\beta}}\le K_9(G)\varepsilon \qquad (5.16)$$

სადაც β, α –ზე ნაკლები ნებისმიერი დადებითი რიცხვია. თუ გავიმეორებთ წინა თეორემის დამტკიცებისას მოყვანილ მსჯელობებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ საკმარისად მცირე დადებითი ε რიცხვებისათვი სამართლიანია შეფასება

$$|S_\Gamma(g,t(\tau))-S_{\tilde{\Gamma}}(\tilde{g},\tilde{t}(\tau))|\le K_{10}(G)\varepsilon \qquad (5.17)$$

როგორიც არ უნდა იყოს $\tau\in[0,2\pi]$.

თუ (5.15)–ში გავითვალისწინებთ (2.2) და (5.17) პირობებს და, ასევე, შემდეგ უტოლობებს:

$$|S_\Gamma(g,t(\tau))|\le K_{11}(G)\|g\|_{C_\alpha}\le K_{12}(G)\|\varphi'\|_{C_\alpha},$$

$$|\tilde{t}(\tau)|\le|\tilde{t}(\tau)-t'(\tau)|+|t'(\tau)|<\varepsilon+|t'(\tau)|$$

